ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №25

2017 წლის 22 დეკემბერი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხისა და

თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მეორე პუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს,**

მუხლი 1.

დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგო თანახმად დანართისა.

მუხლი 2.

ამ დადგენილების ძალაში შესვლისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ივნისის №12 დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **დ.მჭედლიშვილი**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგო

N	თანამდებობების დასახელება	თანამდებობრივი სარგო	საშტატო რიცხოვნობა
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2650	1
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1700	1
3	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1350	5
4	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1350	5
	სულ ჯამი	**17850**	12
	საკრებულოს აპარატი		
1	მუნიციპალიტეტის საკრებულოს I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი)	1000	1
2	მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის II რანგის უფროსი საორგანიზაციო და საქმისწარმოების საკითხებში	810	1
3	მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში	560	2
4	მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში	560	4
5	მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	560	1
6	მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	560	1
7	მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვისა და საკადრო საკითხებში	560	1
	სულ	6850	11
	სულ ჯამი	24700	23